განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტის მომზადება განპირობებულია საარჩევნო კოდექსის ნორმების მაქსიმალურად დახვეწის, მასში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრისა და საქართველოს კონსტიტუციასთან მისი სრულად ჰარმონიზაციის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება უკვე ერთი წელია მუშაობს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებაზე, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებს ეფუძნება. აღნიშნული რეკომენდაციები შეეხება საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას ისეთი ძირითადი მიმართულებებით, როგორიცაა:

- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- მედია-კამპანია და საეთერო დრო;
- წინასაარჩევნო გარემო;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია;
- საარჩევნო დავების განხილვა;
- არჩევნების მეორე ტური.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, მოწესრიგდეს პარტიების სახელმწიფო დაფინანსებასთან, გენდერულ კვოტებთან და თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ამ მიზნით, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების (მათ შორის, მათ მიერ მოწვეული ექსპერტების) მონაწილეობით შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი და გაიმართა მოლაპარაკებების არაერთი რაუნდი, რა დროსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ზემოაღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე თითქმის ყველა პრინციპულ საკითხზე.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი იხილავს საქართველოს პარლამენტის 85 წევრის მიერ ინიციირებულ კონსტიტუციური კანონის პროექტს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (#07-3/443/9; 11.03.2020), რომელიც ახლებურად არეგულირებს მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დროებით წესს. კონსტიტუციური კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მიღებულია II მოსმენით, რის გამოც, აუცილებელია მასში ასახული დებულებების შესაბამისად განხორციელდეს საარჩევნო

კანონმდებლობის ცვლილება, რათა, მისი სამივე მოსმენით მიღების შემდეგ, საქართველოს საარჩევნო კოდექსი სრულად იქნეს ჰარმონიზებული საქართველოს კონსტიტუციასთან.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

ამ განმარტებითი ბარათის „ა.ა.ა“ ქვეპუნქტში დასახელებული საკითხების მოსაწესრიგებლად და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციასთან სრულყოფილი ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს საქართველოს საარჩევნო კოდექსში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქართველოს საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად, საქართველოს საარჩევნო კოდექსი სრულად იქნება ჰარმონიზებული საქართველოს კონსტიტუციასთან და მოხდება მისი ნორმების მაქსიმალურად დახვეწა და მასში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების ჩატარებას თავისუფალ, სამართლიან და თანასწორ გარემოში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს საარჩევნო კოდექსში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებით განსახორციელებელი ცვლილებები ითვალისწინებს შემდეგს:

საარჩევნო ადმინისტრაცია

- ✓ ქვედა დონის (საუბნო) საარჩევნო კომისიებში არაპარტიული ნიშნით წევრთა არჩევა მოხდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის არაპარტიული ნიშნით არჩეულ წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით, რაც უზრუნველყოფს პროცესის მიუკერძოებლად, პარტიული ინტერესებისგან განყენებულად წარმართვას;
- ✓ საუბნო კომისიებთან მიმართებით ფართოვდება ჩანაწერი ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვაზე. კერძოდ, ზუსტდება პირების წრე, რომლებიც ოჯახის წევრთა შორის იგულისხმებიან. აგრეთვე, ემატება აკრძალვა, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება იმ პირის პროფესიული ნიშნით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა, რომელიც წინა საერთო არჩევნებზე კომისიაში პარტიული ნიშნით იყო განწესებული;
- ✓ მეტი გამჭვირვალობისათვის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება არამხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის (შერჩეულ) წევრთა სია, არამედ სრული სია იმ აპლიკანტებისა, რომლებმაც წარადგინეს განაცხადი შესაბამისი კომისიის წევრობაზე.

მედია-კამპანია და საეთერო დრო

- ✓ ორგანული კანონის პროექტში უფასო საეთერო დროის მოსაპოვებლად დადგენილი „ბარიერის“ შესახებ გათვალისწინებულია 2 პუნქტი: პირველი პუნქტი გარდამავალ პერიოდზე იქნება ორიენტირებული და დაადგენს, რომ უფასო საეთერო დროს მიიღებენ ის სუბიექტები, რომლებიც ბოლო (2020) საპარლამენტო არჩევნებში გადალახავენ

კონსტიტუციით დადგენილ ბარიერს (პარტიებისთვის 1%); ხოლო მეორე პუნქტი - ამოქმედდება 2024-ის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და დაადგენს 3%-იან ბარიერს. 2020-ის საპარლამენტო არჩევნებისთვის იმოქმედებს კანონმდებლობაში ამჟამად მოქმედი პრინციპი (უფასო საეთერო დროს მიიღებს 19 კვალიფიციური პარტია);

- ✓ მედია-კამპანიის თანასწორ პირობებში ჩასატარებლად, მაუწყებელი ვალდებული იქნება ცესკოსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით, გადასცეს საეთერო დროის ტარიფები, რომელთა გადახედვა (პირველი ტურის ფარგლებში) შესაძლებელი იქნება ერთხელ. მკაფიოდ დგინდება შესაბამისი ვადები („პირველადი" ტარიფი ძალაში შევა კენჭისყრამდე 50-ე დღიდან; ტარიფის გადასინჯვის შემთხვევაში, ახალი ტარიფი ამოქმედდება კენჭისყრამდე 30-ე დღიდან);
- ✓ წინასაარჩევნო გარემოს გაჯანსაღების მიზნით, დაუშვებელი იქნება ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. ზუსტდება, რომ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სხვა სუბიექტის რეკლამირების აკრძალვის შესახებ ჩანაწერში იგულისხმება მხოლოდ პოზიტიური რეკლამა;
- ✓ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას დგინდება სუბიექტის სახელწოდების/საარჩევნო ნომრის ვიზუალიზაციის პარამეტრები. კერძოდ, რეკლამის გაშვებისას შესაბამისი სიმბოლოები უნდა ფარავდეს კადრის ფართობის არანაკლებ 10%-ს. რეკლამის დასასრულს, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში, მკაფიოდ უნდა იქნას ნაჩვენები სუბიექტის სახელწოდება/საარჩევნო ნომერი;
- ✓ მაუწყებლის მიერ ფასიანი რეკლამის განთავსებისათვის გადახდილ საფასურზე მეტი დროის დათმობა შესაბამისი (რეკლამის დამკვეთი) სუბიექტისათვის, ან უფასო რეკლამის განთავსებისას საარჩევნო სუბიექტისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ დროზე მეტის დათმობა, ჩაითვლება უკანონო შემოწირულობად;
- ✓ 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის 30-ე დღიდან არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის დახარჯული თანხის არანაკლებ 10%-ისა გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები;
- ✓ რეკლამის განთავსების წესის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტის დაჯარიმებას მოახდენს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე ცესკო-ს თავმჯდომარე, ხოლო მაუწყებლებს (გარკვეულ შემთხვევებში სატელეფონო ოპერატორებს) - უშუალოდ კომუნიკაციების კომისია დააჯარიმებს ღია სხდომაზე.

საარჩევნო გარემო

- ✓ კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე აკრძალული იქნება წინასაარჩევნო რეკლამისა და საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა ტელევიზიისა და რადიოს ეთერში;
- ✓ კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე დაუშვებელი იქნება სააგიტაციო მასალის განთავსება, რომელიც დაექვემდებარება ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას;
- ✓ დაუშვებელი იქნება საარჩევნო უბანში ან უბნიდან 25 მეტრის რადიუსში, პირთა მიერ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

- ✓ ემატება მკაფიო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მესამე მხარისაგან რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ რეკლამის/ანტირეკლამის განთავსება ჩაითვლება შემოწირულობად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას გაცხადებული საარჩევნო მიზანი;
- ✓ აკრძალულ შემოწირულობად იქნება მიჩნეული დაუსაბუთებელი შემოსავლით გაკეთებული შემოწირულობაც.
- ✓ აუდიტის სამსახური მონიტორინგის განხორციელებისას გამოიყენებს ელექტრონული დოკუმენტთბრუნვის სისტემას/ელექტრონულ ხელმოწერას;

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენცია

- ✓ საჯარო სკოლების პედაგოგებზე, აგრეთვე, სსიპ-ებისა (გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებების, რეგლიგიური ორგნიზაციების და ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლებისა) და საჯარო დაწესებულებების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლებზე გავრცელდება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ის რეგულაციები, რომლებიც ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებზე (სამუშაო საათებში ვერ ჩაერთვებიან წინასაარჩევნო აგიტაციაში);
- ✓ კოდექსს ემატება ჩანაწერი, რომელიც არჩევნებამდე 2 თვით ადრე სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შეუზღუდავს განხორციელებული პროექტების შესახებ სარეკლამო ვიდეო რგოლების განთავსებას;

საარჩევნო დავების განხილვა

- ✓ დგინდება შემჭიდროვებული ვადები ცესკოსთვის და კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენასთან დაკავშირებით (სპეციფიკიდან გამომდინარე 10-დღიანი ან 2-დღიანი ვადები);
- ✓ სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის/შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოში ოქმის წარდგენიდან, სამართალდარღვევის ბუნების გათვალისწინებით, 2 დღეს ან 10 დღეს.

მეორე ტური

- ✓ კოდექსით მკაფიოდ დგინდება მე-2 ტურის ჩატარების ვადები და გასატარებელი ღონისძიებები;
- ✓ მაუწყებელს მეორე ტურისთვის ექნება რეკლამების განთავსებისთვის დადგენილი ტარიფის ერთხელ გადასინჯვის შესაძლებლობა;
- ✓ უფასო საეთერო დრო მეორე ტურში შესაბამისი პროპორციით გადანაწილდება მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტზე, მიუხედავად იმისა, პირველი ტურში სარგებლობდა თუ არა კონკრეტული სუბიექტი კვალიფიციური სუბიექტის სტატუსით (მათ შორის, დამოუკიდებელი კანდიდატებიც).

გენდერული კვოტები

- ✓ 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ (საარჩევნო სუბიექტმა) ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ

ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;

- ✓ 2028 წლის 28 ოქტომბერს და მის შემდგომ, 2032 წლამდე, ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ (საარჩევნო სუბიექტმა) ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ისეთი პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;
- ✓ 2032 წლამდე საქართველოს პარლამენტის გამოკლებულ წევრს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩაანაცვლებს იმავე სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი და ა. შ;
- ✓ 2028 წლამდე ჩასატარებელ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში პარტიის მიერ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის წარდგენილ სიაში ყოველი მეორე უნდა იყოს განსხვავებული სქესის კანდიდატი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება;
- ✓ საკრებულოს გამოკლებული წევრის შემთხვევაშიც იმოქმედებს პარლამენტში გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობის წესი (გამოკლებულ წევს ჩაანაცვლებს იმავე სქესის კანდიდატი).

სხვა საკითხები

- ✓ სადამკვირვებლო სისტემის ბოროტად გამოყენების პრევენციისათვის კენჭისყრის დღეს ერთსა და იმავე მედია ორგანიზაციას უფლება ექნება საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 2 წარმომადგენლისა, რომელიც იმავდროულად ვერ იქნება საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი/სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელი ან სხვა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელი; დაუშვებელი იქნება 18 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე იყოს ერთზე მეტი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელი;
- ✓ მხარდამჭერთა სიების ბლანკების (მატერიალურად) წარმოდგენასთან ერთად, საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ უნდა იქნეს ამ სიაში შეყვანილ პირთა შესახებ ინფორმაცია ელექტრონული სახითაც, რაც ქმნის ხელმოწერების ავთენტურობის გადამოწმების ეფექტიან მექანიზმს;

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს საარჩევნო კოდექსში, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის შესაბამისად, მომდევნო ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:

- ✓ არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით - პარლამენტში აირჩევა 120 წევრი პროპორციული და 30 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით;
- ✓ პროპორციული არჩევნები ჩატარდება 1-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის პირობებში. საარჩევნო ბლოკებისათვის ბარიერი განისაზღვრება 1 პროცენტისა და ბლოკში შემავალი პარტიების ნამრავლით. გაუნაწილებელი მანდატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში,

თანმიმდევრობით განაწილდება უკეთესი შედეგის მქონე პარტიებზე და საარჩევნო ბლოკებზე;

- ✓ იმისათვის, რომ გამოირიცხოს 40 პროცენტზე ნაკლები მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება და მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირება, კანონპროექტი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჯამურად მიღებული მანდატებისთვის მარჟის დადგენას, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ნამდვილი ხმების საერთო რაოდენობაში მათ მიერვე პროპორციული წესით მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული წილისა და ამ წილის ერთი მეოთხედის ჯამით. აღნიშნული ზღვარი ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პარტია ან საარჩევნო ბლოკი პროპორციული სისტემით ხმათა 40.54%- ზე ნაკლებს მიიღებს;
- ✓ ზემოხსენებული მარჟის გადაჭარბების შემთხვევაში, პარტიას ან საარჩევნო ბლოკს მოაკლდება მანდატები პროპორციული საარჩევნო სიიდან, რომლებიც პროპორციულად განაწილდება იმ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებზე, რომლებმაც შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს;
- ✓ კანონპროექტი უშუალოდ ადგენს 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციული საზღვრების გათვალისწინებით;
- ✓ 2020 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნება პარტიას, რომლის მხარდაჭერა დადასტურებული იქნება არანაკლებ 5000 ამომრჩევლის ხელმოწერით. ამასთან, 5000 ხელმოწერის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლდება:
  - ყველა კვალიფიციური პარტია;
  - ყველა პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან ბლოკურად მონაწილეობდა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში და მან/შესაბამისმა ბლოკმა პროპორციული წესით 15000 ხმა მაინც მიიღო;
  - ყველა პოლიტიკური პარტია, რომლის მიერ წარდგენილმა ან რომლის წევრმა კანდიდატმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების პირველ ტურში 15000 ხმა მაინც მიიღო;
- ✓ 2024 წლამდე, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, იმოქმედებს წარმოდგენილი კანონპროექტით დადგენილი დროებითი საარჩევნო სისტემა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2024 წელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას კანონპროექტი არ ითვალისწინებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საარჩევნო კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობის დროებითი წესის განსაზღვრა. აღნიშნულის თანახმად, საარჩევნო უბნების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოხდება შშმ პირთათვის უბნების ადაპტირება (თითოეულ ოლქში არანაკლებ 4-4 უბანი ეტლით მოსარგებლეთათვის).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

იქიდან გამომდინარე, რომ მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები დრო, აუცილებელია, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების ძირითადი ნაწილი რაც შეიძლება მოკლე დროში (გამოქვეყნებისთანავე) ამოქმედდეს. ამასთანავე, კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების მცირე ნაწილი, მიზანშეწონილია, ამოქმედდეს მომდევნო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რათა საარჩევნო გარემო იყოს მაქსიმალურად ადაპტირებადი და მასში მონაწილე სუბიექტებს მიეცეთ საკმარისი დრო შესაბამისი ცვლილებების პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის. შესაბამისად, კანონპროექტის მე-2 მუხლით გათვალისწინებულია მისი ნორმების ამოქმედების შემდეგი ვადები:

- ✓ კანონის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, გარდა ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2, მე-12, მე-18, 21-ე და 25-ე პუნქტებისა;
- ✓ კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-12 პუნქტები ამოქმედდება საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენიდან მე-2 დღეს;
- ✓ კანონის პირველი მუხლის 21-ე პუნქტი ამოქმედდება საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღიდან 30-ე დღეს;
- ✓ კანონის პირველი მუხლის მე-18 და 25-ე პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

იქიდან გამომდინარე, რომ მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები და როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე საარჩევნო ადმინისტრაციას, სჭირდება დრო, რათა კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით უზრუნველყოს მომდევნო 2020 წლის არჩევნების შეუფერხებლად ჩატარება, აუცილებელია, კანონპროექტი განხილულ იქნას დაჩქარებული წესით.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო საშუალოვადიან პერიოდში არის სახელმწიფო ბიუჯეტი და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კოდექსის პროექტით გათვალისწინებული დარღვევების გამო დაჯარიმებულ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოუწევს შესაბამისი საჯარიმო თანხის გადახდა. აღნიშნული გავლენის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და დამოკიდებულია დარღვევების სახეებსა და რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ძირითადი ნაწილისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან (როგორც ყველა სხვა არჩევნების გამართვის დროს).

კანონპროექტმა შესაძლოა გარკვეული ფინანსური ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვით ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ მათ, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ადმინისტრირებისათვის, მოუწევთ დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონის პროექტის განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტმა შესაძლოა მოახდინოს გარკვეული ფინანსური ზეგავლენა ცალკეულ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებზე იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო დარღვევის გამო დაჯარიმებულ პირს მოუწევს შესაბამისი საჯარიმო თანხის გადახდა. აღნიშნული გავლენის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და დამოკიდებულია მხოლოდ ასეთი დარღვევების რაოდენობაზე (არსებობის შემთხვევაში).

კანონპროექტმა შესაძლოა გარკვეული ფინანსური ზეგავლენა მოახდინოს ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაზე იმ შემთხვევაში, თუ მათ, კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ადმინისტრირებისათვის, მოუწევთ დამატებითი ადამიანური და შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყენება.

კანონპროექტი წინასაარჩევნო კამპანიისას სავარაუდო ფინანსურ ზეგავლენას არ მოახდენს მაუწყებლებზე, ვინაიდან პარტიების მიერ მაუწყებლებში ფასიანი პოლიტიკური რეკლამის

განთავსების შესაძლებლობა და ამ კუთხით, მაუწყებლების მიერ შესაბამისი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, უცვლელი რჩება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი ითვალისწინებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის ახალი სანქციების დამატებას, რომელიც დაკავშირებულია წინასაარჩევნო კამპანიის დროს არსებული დარღვევების პრევენციისათვის საჭირო ეფექტიანი მექანიზმის შექმნასთან. ასეთი სანქციებიდან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტში სავარაუდო შენატანების რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა რთულია და დამოკიდებულია მხოლოდ ჩადენილი დარღვევების სახესა და რაოდენობაზე. რაც შეეხება სანქციების განსაზღვრის პრინციპს, იგი თანმიმდევრულია კოდექსის მოქმედი რედქციით დადგენილი სანქციების განსაზღვრის პრინციპთან და არ ხდება სანქციების განსაზღვრის ახალი პრინციპის შემოღება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

ასეთი არ არსებობს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა ხელისუფლების, ოპოზიციური

პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების (მათ შორის, მათ მიერ მოწვეული ექსპერტების) ჩართულობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ თალაკვაძე, ირაკლი კობახიძე, ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი.